თეო ჯალაღანია, ჯიმშერ ჯობავა,
ქრისტინე ჯობავა

ხელოვნება

მოსწავლის წიგნი

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება

5

მეხუთე კლასის მოსწავლის წიგნი

ავტორები
თეო ჯალაღანია, ჯიმშერ ჯოგავა,
ქრისტინე ჯოგავა

„საქართველოს მაცნე“

გრიფმინიჭებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
სამინისტროს მიერ 2018 წელს

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება
მეხუთე კლასის მოსწავლის წიგნი

ავტორები
თეო ჯალაღანია,ჯიმშერ ჯობავა,
ქრისტინე ჯობავა

მხატვრობა და დიზაინი
ქრისტინე ჯობავა

გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“
ტელ: 232 09 78, 591 34 73 77
ელ-ფოსტა: sakmacne@gmail.com
მაღალაშვილის ქ. 5, 0178, თბილისი.

© თ. ჯალაღანია, ჯ.ჯობავა
© გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“

გამოცემის წელი 2018 წელი

ISBN 978-9941-16-678-5

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. ხელოვნების სათავეები და მითოლოგია 6
2. კერამიკის ისტორიიდან 8
3. ნახატის ისტორია 10
4. ნახატის ხელოვნება 13
5. მხატვარი მხატვრის თვალით 16
6. ფერი და ტონი 18
7. საცხოვრებელი არქიტექტურა 20
8. მუსიკა ხელოვანის თვალით 22
9. ფერით ასახული მელოდია 24
10. მსახიობი მხატვრის თვალით 26
11. დამატებითი ფერები 28
12. თეატრალური შენობები 30
13. გააკეთე თეატრალური დეკორაცია 34
14. ნიღბები 36
15. ცეკვა ხელოვანის თვალით 38
16. მუსიკა, ცეკვა, ნახატი 40
17. ვხატავთ ანიმაციურ პერსონაჟებს 42
18. ცეკვა ქანდაკებაში—შეჩერებული მოძრაობა 44
19 ვძერწავთ ფიგურას მოძრაობაში 46
20. თიხა და პლასტილინი 48
21. ბუნება და ხელოვნება 52
22. სივრცე და სიღრმე 54
23. ვხატავთ პეიზაჟს 56
24. ხედვის წერტილი მხატვრობაში 58
25. ვხატავთ ეგვიპტური სტილით 60
26. შემაჯამებელი გაკვეთილი 62
27 საახალწლო ტრადიციები 64
28. ზამთრის პეიზაჟი 66
29. საახალწლო სამზადისი 67
30. ტრადიციები მსოფლიოს ხალხთა ხელოვნებაში 68
31. ჩინეთი—საოცარი აღმოჩენების ქვეყანა 72
32. საგნების ჩუმი ცხოვრება 74
33. როგორ ძერწავს ფორმებს სინათლე 76
34. რა არის კომპოზიცია 76
35. ვხატავთ ნატურმორტს 78
36. დედის დღე 80
37 საჩუქარი დედისთვის 82
38. აღდგომა 84

39. ვაფორმებთ სააღდგომო კვერცხს 86
40. ჩვენი არქიტექტურული ძეგლები 88
41 სადღესასწაულო ბარათი „ქართული ტაძარი” 90
42. ვიყენებთ ჩარჩოს კომპოზიციის ასაგებად 92
43. ფონიც მნიშვნელოვანია! 94
44. საგანი და ფაქტურა 96
45. ფერი და ფაქტურა 96
46. ფოთლების ფაქტურული ანაბეჭდები 100
47. ხალიჩა 102
48. რეკლამის ხელოვნება 104
49. მუზეუმი 106
50. შემაჯამებელი გაკვეთილი 110
ლექსიკონი 112

ყველა ბავშვი დიდი მხატვარია. საქმე ისაა, როგორ
დარჩე ასეთად, როცა გაიზრდები.
პაბლო პიკასო

ხელოვნება უზარმაზარი სამყაროა, რომელიც მრავალ საინტერესო აღმოჩენას გვთავაზობს. მაგრამ ამისთვის საკმარისი არაა მხოლოდ ვუყუროთ ხელოვნების ნაწარმოებებს — უნდა ვიცოდეთ, როგორ შევხედოთ მას და როგორ ჩავწვდეთ მის მნიშვნელობას. მაგალითად, ყველასათვის ცხადია — იმისათვის, რომ წავიკითხოთ და გავიგოთ მშვენიერი ლექსი, არ არის საკმარისი, რომ ადამიანს მხოლოდ მხედველობა ჰქონდეს — მან შესაბამისი ენა და ანბანი უნდა იცოდეს. სახვით და გამოყენებით ხელოვნებასაც აქვს თავისი ენა და ანბანი და როდესაც მათ აითვისებ, ნაწარმოებთა სილამაზესა და მნიშვნელობასაც სულ სხვაგვარად ჩასწვდები.

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება მოიცავს არქიტექტურას, ანუ მშენებლობის ხელოვნებას, ქანდაკებას — სხვადასხვა მასალისაგან გამოსახულების კვეთისა და ძერწვის ხელოვნებას, ფერწერას, სადაც გამოსახულება საღებავის მეშვეობით იქმნება, გრაფიკას — დარგს, რომელშიც წამყვანი მნიშვნელობა ნახატს ენიჭება (მაგ., ფანქრით, ტუშით, ნახშირით და ა.შ.) და გამოყენებით ხელოვნებას, ანუ ხელოვანთა მიერ შექმნილი ნივთების (ჭურჭლის, ავეჯის, ტანსაცმლის და სხვ.) მრავალგვარობას.

ძალიან საინტერესო და სასიამოვნოა, უყურო და იფიქრო ყოველივე ამაზე. მაგრამ კიდევ უფრო მიმზიდველია, აიღო ფუნჯი, ფანქარი, პლასტილინი ან ფერადი ქაღალდის ნაჭრები და სცადო, შექმნა საკუთარი ხელოვნება. არ არის აუცილებელი, ზუსტად ისე ხატო, როგორც სინამდვილეში ხედავ — მთავარია, შეეცადო, რომ ნამუშევარში შენი განწყობა და აზრები გამოხატო და შექმნა საკუთარი ხელით რაღაც, რაც მანამდე არ არსებობდა.

ნურც იმას შეეცდები, ზუსტად გაიმეორო სახელმძღვანელოში მოყვანილი ნამუშევრები. ეს მხოლოდ ნიმუშებია, რომლის დახმარებითაც შეგიძლია საკუთარი, თვითმყოფადი ნაწარმოებები შექმნა.

1. ხელოვნების სათავეები და მითოლოგია

როგორ გგონია, როდის გაჩნდა ხელოვნება, ან ვინ იყო პირველი მხატვარი თუ მოქანდაკე? სამწუხაროდ, რადგანაც ეს ძალიან დიდი ხნის წინ, ჯერ კიდევ პირველყოფილი ეპოქის დროს მოხდა, დღეს დანამდვილებით არავინ იცის ამის შესახებ.

მაგრამ ძველ საბერძნეთში არსებობდა მითები და ლეგენდები, სადაც იმდენად პოეტურად და დამაჯერებლად იყო მოთხრობილი იმის შესახებ, თუ როგორ გაჩნდა მხატვრობა და ქანდაკება, რომ ყველას, მეცნიერებსაც კი, სჯეროდათ, რომ ყველაფერი სწორედ ასე მოხდა. ასე იყო მანამ, სანამ XIX საუკუნეში არქეოლოგებმა პირველყოფილი ადამიანების შემოქმედება არ აღმოაჩინეს და მიხვდნენ, რომ ხელოვნება გაცილებით უფრო ადრე შეიქმნა, ვიდრე ეს ბერძნებს ეგონათ.

ბერძნული მითების მიხედვით მრავალი ფერწერული ტილო, ნახატი და ქანდაკებაა შექმნილი. მრავალი ხელოვანისთვის ისინი შთაგონების წყაროდ იქცა.

კორინთოელი ქალიშვილი

ჯოზეფ რაიტი დერბიდან. ინგლისი, XVIIIს. „კორინთოელი ქალიშვილი“

ძველ საბერძნეთში, ქალაქ კორინთოში, ცხოვრობდა სახელგანთქმული მეთუნე - კერამიკული ლარნაკების ოსტატი, დიბუტადე. მას ჰყავდა ქალიშვილი, სახელად კორა. ერთხელ, როდესაც კორას საქმრო შორეულ და ხანგრძლივ მოგზაურობაში უნდა წასულიყო, ქალიშვილმა სამახსოვრო გამოსახულების შექმნა გადაწყვიტა და ამისთვის კედელზე მის ჩრდილს კონტური შემოავლო. ასე შეიქმნა პირველი პორტრეტული ნახატი.

ამის შემდეგ კი ოსტატმა დიბუტადემ ნახატი თიხით შეავსო და თავის ღუმელში გამოწვა იგი. ასე შეიქმნა პირველი რელიეფური ქანდაკება.

ბერძნული კერამიკა

ისაუბრეთ ამ გაკვეთილში მოყვანილი ბერძნული მითების შესახებ. მოგეწონა ეს ლეგენდები? რომელი მათგანია ყველაზე საინტერესო? როგორ გგონია, საიდან ჩნდება მითები და ვინ იგონებს მათ? შენი აზრით, არის ამ მითებში თუნდაც ნაწილობრივი სიმართლე ღუ არა?

მითები ქანდაკების შექმნაზე

იკაროსი და დედალოსი

საბერძნეთში რამდენიმე მითი არსებობდა ქანდაკების წარმოშობის თემაზე. ერთ-ერთის მიხედვით, ხის ქანდაკება პირველად შექმნა სახელგანთქმულმა ოსტატმა, გამომგონებელმა და მშენებელმა **დედალოსმა**. ლეგენდა მოგვითხრობს: ეს ქანდაკებები იმდენად გავდნენ ნამდვილ ადამიანებს, რომ მფლობელებს ეშინოდათ: ვაითუ გაცოცხლდნენ და გაიპარონო და ყოველი შემთხვევისათვის ღამ-ღამობით თოკს აბამდნენ ხოლმე.

ფოტოზე გამოსახულ ძველბერძნულ რელიეფზე ნაჩვენებია დედალოსი იმ მომენტში, როდესაც იგი თავის შვილს, იკაროსს, ფრთებს უკეთებს. მაგრამ ეს უკვე სხვა მითია. (გაეცანი ამ მითს და მოუყევი მის შესახებ მეგობრებს).



ჟან ბატისტ რენიო. საფრანგეთი, XVIIIს. „პიგმალიონი და გალათეა“

მაგრამ განსაკუთრებით ცნობილია მითი **პიგმალიონის** შესახებ. იგი მოგვითხრობს,' თუ როგორ შექმნა კვიპროსის მეფემ პიგმალიონმა სპილოს ძვლისაგან მშვენიერი ქანდაკება. მას იმდენად შეუყვარდა თავისი ქმნილება, რომ ღმერთებმა შეიბრალეს იგი და ქანდაკება გაცოცხლდა.

სცადე, შენც შექმნა პორტრეტული ნახატი იგივე ხერხით, რომელიც კორამ გამოიყენა. ამისათვის კედელზე ქაღალდის ფურცელი დაამაგრე, შემდეგ კი სთხოვე მეგობარს, ისე დადგეს, რომ მისი ჩრდილი ფურცელზე დაეცეს. ამის შემდეგ ჩრდილს კონტური შემოავლე.



დაათვალიერე ბერძნული კერამიკის ნიმუშები და აღწერე მათი ფორმა, ფერი და მოხატულობა.

ბერძნული კერამიკა

2. კერამიკის ისტორიიდან

წინა გაკვეთილზე შენ გაეცანი ბერძნული კერამიკის ზოგიერთ ნიმუშს. დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ისტორიაში ამ ნაწარმოებებს ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. საბერძნეთიდან ასეთი ლარნაკები მრავალ ქვეყანაში გავრცელდა. არქეოლოგებმა ისინი საქართველოშიც იპოვნეს. ისინი მოსწონდათ და მათ ბაძავდნენ მაშინაც კი, როდესაც ძველი საბერძნეთი, ანუ ელადა, უკვე აღარ არსებობდა.

გაიხსენე ინგლისელი მხატვრის, ჯოზეფ რაიტის სურათი „კორინთოელი ქალიშვილი“, რომელიც შენ წინა გაკვეთილზე ნახე. საინტერესოა, რომ იგი XVIII საუკუნეში შეუკვეთა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი კერამიკული საწარმოს დამაარსებელმა, **ჯოზაია ვეჯვუდმა**. მის მიერ შექმნილი ნაკეთობები ძალზე მრავალფეროვანია, მაგრამ მათი უმეტესობა სწორედ ბერძნული კერამიკითაა შთაგონებული.

როგორ გგონია, რატომ მოისურვა ვეჯვუდმა, ჰქონოდა სწორედ ამ თემაზე შესრულებული სურათი? გამოთქვი და დაასაბუთე შენი აზრი.

შეადარე ერთმანეთს ბერძნული კერამიკა და ვეჯვუდის ნამუშევრები. ჰგავს თუ არა ერთმანეთს მათი ფორმები და სილუეტები? რა ფერისაა ფიგურები და ფონები? ჩანს თუ არა მსგავსება პერსონაჟთა გარეგნობასა და ჩაცმულობაში? რა იმსჯელეთ ამის შესახებ კლასში.

ბერძნული კერამიკა

ვეჯვუდის კერამიკა

შეასრულე „ბერძნული ლარნაკის“ მოხატულობა



1. დაათვალიერე ბერძნული ლარნაკების ტრადიციული ფორმები და ამოირჩიე შენთვის სასურველი.
2. დახატე ლარნაკის ფორმა შავ ქაღალდზე და გამოჭერი. შეგიძლია გამოჭრა ლარნაკი თეთრი ქაღალდისაგან და მერე შეღებო იგი შავად.
3. დაათვალიერე ორნამენტები. მიაქციე ყურადღება, თუ სად თავსდებოდა ისინი ლარნაკებზე. მონიშნე შენს „ლარნაკზე” ორნამენტისათვის განკუთვნილი ადგილი.
4. მოიფიქრე, სად განალაგებ გამოსახულებას. შეეცადე, რომ ნახატისათვის საკმარისი ადგილი გქონდეს.
5. ნუ გამოიყენებ ბევრ ფერს: შეეცადე, იხმარო მხოლოდ ის ფერები, რომლებსაც ნამდვილ ბერძნულ კერამიკაზე ხედავ.
6. შეგიძლია იხმარო შენთვის სასურველი მასალა: გუაშის საღებავები, ფერადი ფანქრები, პასტელები და ა.შ.
7. თუ გაგიჩნდება სურვილი, რომ განსხვავებული ვარიანტი შეასრულო, შეგიძლია მოიფიქრო შენეული გამოსახულება.
8. როდესაც ნამუშევრები მზად გექნებათ, გამოფინეთ ისინი კლასში და ისაუბრეთ მათ შესახებ. შეგიძლიათ, მოიძიოთ ინფორმაცია და მასალები ძველი ბერძნული კერამიკის შესახებ და მოაწყოთ პრეზენტაცია.

მოსწავლეთა ნამუშევრები





3. ნახატის ხელოვნება

ნახატის გამომსახველობა დიდადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რა მასალასა და ტექნიკას მიმართავს მხატვარი. ფერადი და უბრალო (გრაფიტის) ფანქრები ყველაზე ხელმისაწვდომი და გავრცელებული მასალაა. მათი ხმარებაც, ერთი შეხედვით, ძალზე იოლია, მაგრამ არსებობს ზოგიერთი ხერხი, რომელიც დაგეხმარება დაეუფლო ნახატის ენას და უფრო ნათლად გამოსახო ჩანაფიქრი.

კონტურით ხატვა

დამწყებთათვის ძალზე სასარგებლო ვარჯიშია კონტურით ხატვა. აირჩიე რაიმე უბრალო საგანი (სურ.1) და მოხაზე მისი გარშემოწერილობა (სურ.2). შემდეგ დააკვირდი საგნის დეტალებს და აღნიშნე ისინი თხელი ხაზებით. შემდეგ შეგიძლია გაართულო სავარჯიშო — დახატე რამდენიმე საგნისგან შემდგარი კომპოზიცია (სურ. 3,4).

ტონი და გრადაცია

იმისთვის, რომ დახატული საგანი მოცულობრივი გამოჩნდეს, საჭიროა შუქ-ჩრდილი. მას გამოსახავენ სინათლის ტონების — სხვადასხვა სიძლიერის მუქი და ბაცი ელფერების მეშვეობით, თეთრიდან (მაქსიმალური განათებულობა) შავამდე (სრული სიბნელე). თანმიმდევრულად განლაგებულ ტონებს გრადაცია ეწოდება (სურ.5). გრადაცია შეიძლება ფერადიც იყოს (სურ.6,7).

სურ. 1

სურ. 2

ნახ. 3

სურ. 4



სურ. 5

სურ. 6

სურ. 7

სურ. 8



სურ. 9

სურ. 10



სურ. 11

სინათლის ტონები არ უნდა აგვერიოს ფერადოვან ტონებში, ანუ ვალიორებში — ეს ნიშნავს ერთი ფერის სხვადასხვა ელფერს — მაგ. სუფთ წითელი ფერის გარდა, არსებობს ღვინისფერი, მარჯნისფერი, ალუბლისფერი, ალისფერი და სხვ.

დაშტრიხვა

ფანქრით ხატვისას გამოსახვის მთავარი საშუალება ხაზია. ტონები უმეტესწილად მოკლე ხაზების — შტრიხების საშუალებით გამოისახება. ფანქარზე დაჭერის სიძლიერე და შტრიხების განლაგება (ახლოს, შორიშორ, პარალელურად, ჯვარედინად და ა.შ.) საშუალებას გვაძლევს სრულიად განსხვავებული ეფექტები მივიღოთ (სურ. 8,9,10,11). სხვადასხვა ფერის შტრიხების შერევა ან ერთმანეთზე დადება ხვადასხვა ტონს გვაძლევს.

ხაზი და ფაქტურა

იმის მიხედვით, თუ როგორი ხაზებითაა დაფარული საგნის ზედაპირი, მაყურებელს უჩნდება სხვადასხვაგვარი ფაქტურის შეგრძნება — გლუვის, ხაოიანის, პრიალა, ხავერდოვანი და ა.შ. შტრიხების გარდა, შეგიძლია იხმარო წერტილები, კლაკნილი ხაზები, ან წაუსვა კონტურის შიგნით ბამბა ან ქაღალდის ცხვირსახოცი და ,,შეზავებული", გლუვი ზედაპირი მიიღო.

არსებობს საინტერესო ფაქტურების გამოსახვის ერთი თავისებური ხერხი: რაიმე უსწორმასწორო ზედაპირს, მაგ. კალათას, ფეხსაცმლის ძირს, ცემენტის კედელს და ა.შ. (სურ.12,13,14)გდააფარე ქაღალდის ფურცელი და თანაბარი მოძრაობებით წაუსვი ფანქარი. მიიღებ ძალზე საინტერესო გამოსახულებებს და თუ ფანტაზიას აამუშავებ, მათი გამოყენებით ორიგინალური ნახატების, მაგ., პეიზაჟების შექმნასაც შეძლებ (ნახ.115, 16).



სურ. 12



სურ. 13

სურ. 14

სურ. 15

სურ. 16

4. ნახატის ისტორია

წარმოიდგინე, რომ უცებ გაქრა ყველაფერი, რაც ნახატთანაა დაკავშირებული. რა მოხდებოდა მაშინ? გაქრებოდა არა მარტო ცნობილი მხატვრების მიერ ფანქრით, ნახშირით, ტუშით და სხვა მასალით შესრულებული ნამუშევრები, არამედ მრავალი სხვა დარგის ნიმუშებიც.

შეეცადე გაიხსენო და ჩამოთვალო რაც შეიძლება მეტი რამ, რის შექმნასაც ნახატი სჭირდება. მაგ. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მრავალი დარგის ნაწარმოებების შესაქმნელად საჭიროა ესკიზები. რომელია ეს დარგები? ისაუბრეთ ამის შესახებ.

ლეონარდო და ვინჩი . ჩანახატი

გამოდის, რომ ნახატს დიდი როლი აქვს ჩვენს ცხოვრებაში.

რა გვახსენდება პირველ რიგში, როდესაც ხატვის მასალებზე ვსაუბრობთ? ალბათ, ცარცი, ნახშირი, ტუში, მელანი, მაგრამ პირველ რიგში მაინც ფანქარი. ეს იმდენად გავრცელებული ნივთია, რომ იშვიათად თუ ვინმეს გაუჩნდება შეკითხვა, თუ ვინ და როდის გამოიგონა იგი. არადა, მას ძალზე ხანგრძლივი ისტორია აქვს. ძველად მხატვრები ფანქრის მაგივრად ლითონის — ვერცხლის ან ტყვიის ღერებით ხატავდნენ. ასეთი ,,ფანქარი" ბაც, მოვერცხლისფრო კვალს ტოვებდა. იყენებდნენ ,,იტალიურ ფანქარსაც"— დამწვარი ძვლის ფხვნილისა და წებოსაგან დამზადებულ წვრილ ჯოხებს და სანგინას — მოწითალო მინერალისაგან დამზადებულ ღერებს. ასეთ ,,ფანქრებს" ხშირად ხმარობდნენ აღორძინების ხანის მხატვრები — ლეონარდო, მიქელანჯელო, რაფაელი და სხვ. ხშირად მხატვარი რამდენიმე მასალას ერთდროულად იყენებდა.

გრაფიტის თანამედროვე ფანქრის შექმნა მას მერე გახდა შესაძლებელი, რაც XVIს-ში ინგლისში გრაფიტის საბადო აღმოაჩინეს. ეს შემთხვევით მოხდა — ძლიერმა ქარიშხალმა უშველებელი ხე წააქცია და გამოჩნდა უცნობი მონაცრისფრო-შავი მინერალი, რომელსაც მოსახლეობა თავდაპირველად ცხვრების დასანიშნად იყენებდა. ხატვა გრაფიტის ნატეხებით მოგვიანებით დაიწყეს. შემ-დგომ იტალიაში გრაფიტის ხის ბუდეში ჩასმა გამოიგონეს. საბოლოო სახე გრაფიტის ფანქარმა XVIIIს-ში მიიღო, როდესაც ფრანგმა ნიკოლა კონტემ დაფხვნილი გრაფიტისა და თიხის შეზავებით სხვადასხვა სიმაგრის ფანქრები შექმნა — მაგარი უფრო ბაცია, რბილი — უფრო მუქი. ამან მრავალფეროვანი ეფექტების შექმნის საშუალება მისცა მხატვრებს.

ნახატის გამომსახველობითი საშუალებები მეტად ფართოა. მასალისა და იარაღების შერჩევით და სხვადასხვა ხერხების — კონტურის, ლაქის, შუქ-ჩრდილის, სხვადასხვა ელფერების გამოყენებით მხატვარს შეუძლია სრულიად განსხვავებული შედეგი მიიღოს.

ლეონარდო და ვინჩი
„მუზარადიანი მეომარი"

მიქელანჯელო. ესკიზი.

ფ.კლუე. მეფე ფრანსუა II

? დააკვირდი ამ ნამუშევრებს. როგორ ხაზებს ხედავ - ბაცს თუ მუქს, სქელს თუ თხელს, ნაზს თუ ძლიერს? რა ფერებს ხედავ ამ ნახატებზე? როგორ გგონია, ეს ნახატები ერთანირი მასალითაა შესრულებული თუ არა? თუ მიგაჩნია, რომ სხვადასხვა, შეეცადე დაასახელო, რითია შესრულებული ყოველი მათგანი. დაასაბუთე შენი აზრი.

ენგრი. „ქ-ნი ბოლარი." ფანქარი

გ.კურბე. „ჟიულიეტი." ნახშირი

ე. ბერნ-ჯონსი. ესკიზი.
ცარცი

? გამოსახვის რა ხერხებს (კონტური, ლაქა, შუქ-ჩრდილი,) ხმარობს თავის ნახატში ენგრი? ბერნ-ჯონსი? კურბე? ამოარჩიე, მოყვანილი სიტყვებიდან, შენი აზრით, რომელი რომელ ნახატს უფრო შეესაბამება:მკაფიო, რბილი, მკვეთრი, ბუნდოვანი, მოცულობრივი, ჰაეროვანი, წონადი, ნაზი?

შენი აზრით

რომელი ტექნიკაა უფრო იოლი — ფანქარი თუ აკვარელი? რომელია უფრო საინტერესო? რატომ გგონია ასე?

დაიმახსოვრე!

ფრანსუა კლუე — XVIს-ის ფრანგი მხატვარი, ფრანგული აღორძინების წარმომადგენელი.

ჟან ოგიუსტ დომინიკ ენგრი — XVIII-XIXს. ფრანგი მხატვარი,

გიუსტავ კურბე — XIXს-ის ფრანგი მხატვარი.

ედვარდ ბერნ-ჯონსი — XIXს-ის ინგლისელი მხატვარი.

ამ სურათზე ვან გოგმა გამოსახა თავისი მეგობარი ჟოზეფ როლენი, ფოსტალიონი პატარა ქალაქ არლიდან , სადაც ერთხანს ცხოვრობდა მხატვარი. დააკვირდი ნახატს. რამდენი სხვადასხვა ტიპის ხაზი შეგიძლია იპოვნო? როგორი ხაზებია ეს? როგორ შთაბეჭდილებას სტოვებს ასეთი შესრულების მანერა? სახის როგორი გამომეტყველება აქვს როლენს?

ვან გოგის წერილებში როლენი აღწერილია, როგორც ,,კეთილი სულის ბრძენი ადამიანი, მგრძნობიარე და მიმნდობი" (შემდგომში, როდესაც მხატვარი სულიერად დაავადდა, როლენი მართლაც დიდ სიკეთესა და მზრუნველობას იჩენდა მის მიმართ). შენი აზრით, შეძლო ვან გოგმა ამ თვისებების ნახატში გამოვლენა? თუ შეძლო, როგორ?

ისაუბრეთ კლასში თემაზე ,,მეგობრის პორტრეტი". გამოთქვით თქვენი მოსაზრებები იმის შესახებ, თუ რითია საინტერესო და მიმზიდველი ეს თემა. დაათვალიერეთ წინა გაკვეთილზე შესრულებული ნამუშევრები და გამოთქვით აზრი მათ შესახებ. მოყევით, როგორი ხასიათი აქვს თქვენს მეგობარს, რა თვისებები გინდოდათ გამოგეკვეთათ მის პორტრეტში და შესძელით თუ არა მიზნის მიღწევა.

დაიმახსოვრე!
სინათლის ტონები — სხვადასხვა სიძლიერის მუქი და ბაცი ელფერები, თეთრიდან (მაქსიმალური განათებულობა) შავამდე (სრული სიბნელე).
ფერადოვანი ტონები, ანუ ვალიორები — ერთი ფერის სხვადასხვა ელფერები.
გრადაცია — თანმიმდევრულად განლაგებული ტონები.
შტრიხი — მოკლე ხაზი.

სავარჯიშოები

1. აარჩიე უბრალო ფორმის ნივთი (მაგ. კალამი, სტეპლერი, ჭიქა). კარგად დააკვირდი მის ფორმას. შეასრულე კონტურული ნახატი გრაფიტის ფანქრით. არ იჩქარო — ხატე ნელა და გულდასმით.

2. შეასრულე ტონალური გრადაცია. ამისთვის დახატე ერთი ზომის მართკუთხედები, პირველი შეაფერადე ყველაზე ბაცი ტონით, უკანასკნელი — ყველაზე მუქით, მათ შორის კი შუალედური ტონებით ბაციდან მუქამდე.

3. დახატე შავი ან ფერადი ფანქრებით შენი მეგობრის პორტრეტი. შეეცადე გამოიყენო ახლადშესწავლილი ხერხები — ნაირგვარი შტრიხები (მაგ. ნახ.18), ტონალური გრადაცია, უსწორმასწორო ზედაპირიდან აღებული ფაქტურები (მაგ. თმის ან ტანსაცმლის გადმოსაცემად). არა უშავს, თუ ნაკვთები ძალიან ვერ მიამსგავსე, მთავარია, შეეცადე, გადმოსცე შენი მეგობრის ხასიათი (მაგ., მხიარულია იგი თუ წყნარი), რა უყვარს მას (შეგიძლია ეს მიანიშნო რაიმე დეტალების — ნივთების, ცხოველების, ტანსაცმლის მეშვეობით). გამოფინეთ ნამუშევრები კლასში.

სურ.17

სურ. 18

5. მხატვარი მხატვრის თვალით

შენ იცი ხელოვნების დარგებისა და ჟანრების შესახებ, იცნობ აგრეთვე მასთან დაკავშირებულ ზოგიერთ პროფესიას. მაგრამ თუ გიფიქრია იმაზე, თუ როგორ აღიქვამენ თვით ხელოვანები საკუთარ თავს, თავის საქმიანობას, კოლეგებს? მოდი ვნახოთ, რას მოგვითხრობენ ამის შესახებ მათი ნამუშევრები.

იან ვან ვერმეერი. „მხატვრის სახელოსნო“

ამ სურათებზე მხატვრებმა თავიანთი პორტრეტები გამოსახეს. (გაიხსენე, რა ეწოდება ასეთ ნაწარმოებს.) მაგრამ, როგორც ხედავ, ისინი ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. დააკვირდი: რომელია მათ შორის გრაფიკული ნაწარმოები და რომელი - ფერწერული? რატომ მიგაჩნია ასე? შენი აზრით, ეს პორტრეტები შელამაზებულია თუ სწორად გადმოსცემს მსგავსებას? რატომ გგონია ასე? რა შეგიძლია თქვა აქ გამოსახული ადამიანების ასაკსა და გარეგნობაზე: ახალგაზრდები არიან ისინი თუ ხანდაზმულები, ლამაზები თუ არა? სახის როგორი გამომეტყველება აქვთ ამ მხატვრებს? როგორ ფიქრობ, ისინი საინტერესო, ჭკვიანი პიროვნებები არიან თუ არა? შენი აზრით, ამ პორტრტებს რა აქვთ საერთო და რა - განსხვავებული?

ლეონარდო და ვინჩი. ავტოპორტრეტი

რემბრანდტი. ავტოპორტრეტი

ზოგჯერ ავროპორტრეტი იმასაც გვიჩვენებს, თუ რამდენად განსხვავდება მხატვრების შეხედულებები საკუთარ თავსა და თავიანთ შემოქმედებაზე: ზოგი რომანტიკულად და შთაგონებულად გამოიყურება, ზოგიც საქმიანი და სერიოზულია, ზოგი — დახვეწილი და არისტოკრატული,ზოგი კი - მხიარული, იუმორით აღსავსე.

ჟ.ბ.ს. შარდენი. ავტოპორტრეტი

დააკვირდი ამ ნამუშევრებს. შეგიძლია ივარაუდო, რა მასალითაა ისინი შესრულებული? როგორი ფერებია ამ სურათებზე გამოყენებული — ცივი თუ თბილი? სად როგორი ტონებია — სად ღია, ნათელი და სად - მუქი? რა შეგიძლია თქვა აქ გამოსახულ მხატვრებზე? შენი აზრით, როგორებად წარმოუდგენიათ მათ თავი? შენ რომელი პორტრეტი უფრო მოგწონს? რატომ?

დაიყავით ჯგუფებად და სცადეთ, მოიგონოთ რაიმე ამბავი ერთ-ერთი მხატვრის შესახებ. მოყევით თქვენი ამბავი კლასის წინაშე.

ე.ვიჟე-ლებრენი. ავტოპორტრეტი

ა. ვან დეიკი. ავტოპორტრეტი

მოიფიქრე, როგორ დახატავდი შენს ავტოპორტრეტს, ცნობილი მხატვარი რომ იყო: სად იქნებოდი გამოსახული, როგორი ტანსაცმელი გეცმებოდა, როგორი პოზა გექნებოდა, იქნებოდა თუ არა შენს გარშემო რაიმე ნივთები და ა.შ. შეგიძლიათ გააკეთოთ სწრაფი ჩანახატები და აჩვენოთ მეგობრებს კლასში..

ნორმან როკუელი. ავტოპორტრეტი

6. საცხოვრებელი არქიტექტურა

მსოფლიო არქიტექტურაში სხვადასხვა ტიპის ნაგებობების მრავალი საინტერესო ნიმუში გვხვდება, ყოველი მათგანი განუმეორებელი და ორიგინალურია. მაგალითად, ნახე, როგორ ძლიერ განსხვავდება ქართული ოდა, აფრიკული ქოხები, გერმანული და იაპონური ქალაქური სახლები, თუმცა ყველა ეს ნაგებობა საცხოვრებელი არქიტექტურის ტიპს მიეკუთვნება.

შენ შეგიძლია თავად გააკეთო საცხოვრებელი სახლების ისეთი გამოსახულება, რომელიც დაგეხმარება, უკეთ გაეცნო ამა თუ იმ ქვეყნის ხელოვნებას.

დაიყავით ჯგუფებად და ამოირჩიეთ ქვეყანა, რომლის არქირექტურაც გინდათ გამოსახოთ ისე, როგორც ეს გვერდით ფურცელზეა მოცემული. აქ ნაჩვენებია, როგორ უნდა გაკეთდეს იაპონური „სოფელი“, მაგრამ თქვენ შეგიძლიათ რომელიმე სხვა ქვეყანაც აირჩიოთ. ამის შემდეგ გაეცანით არქიტექტურის ნიმუშებს (შეგიძლიათ გამოიყენოთ ინტერნეტი, სკოლის ბიბლიოთეკა და ა.შ) და მოიფიქრეთ, როგორი „დასახლების“ გამოსახვა გსურთ. შეგიძლიათ აგრეთვე სწრაფი წინასწარი ჩანახატებიც გააკეთოთ. როდესაც ნამუშევრები მზად გექნებათ, გამოფინეთ ისინი კლასში და ისაუბრეთ თქვენი და სხვისი ნამუშევრების შესახებ. კარგი ინება, თუ მოიძიებთ მასალებს თქვენს მიერ შერჩეული ქვეყნის შესახებ და მოაწყობთ თემატურ გამოფენას.

1. თქვენ დაგჭირდებათ მუყაოს ორი ფურცელი — ძირი და უკანა მხარე (შეგიძლიათ გამოიყენოთ რაიმე შესაფერისი კოლოფი). ძირზე თქვენთვის სასურველი მასალით დახატეთ ნიადაგი, ბალახი და გზა, უკანა კედელზე კი — მთები.
2. აიღეთ ბევრი ჭრელი ქაღალდი და გააკეთეთ სახლები. კარგი იქნება, თუ ამისთვის გამოვიყენებთ თქვენთვის უკვე ცნობილ იაპონურ ტრადიციულ ტექნიკას: ქაღალდის კეცვას, ანუ ორიგამის.
3. სახლები სხვადასხვა ზომისა გააკეთეთ. დიდი სახლები წინა პლანზე დააწებეთ, პატარები — უკანა პლანზე (გაიხსენე: რა არის პლანი? რომელი პლანები იცი?).
4. შეგიძლია ორი ან სამი სახლი ერთმანეთს დააწებო და მრავალსართულიანი სახლები გამოგივა.
5. გამოფინეთ მზა ნამუშევრები და მოაწყვეთ პრეზენტაცია.





7. ფერით ასახული მელოდია

ანტუან ვატო. „მეცეტენი“

როგორც შენ უკვე იცი, ხელოვანები ხშირად დიდი ინტერესით გამოსახავენ ხოლმე მუსიკის შემსრულებლებს, კომპოზიტორებს ან თუნდაც მომუსიკე ანგელოზებს, მითოლოგიურ ღვთაებებს, მუზებს და ა.შ. XVIIIს-ის ფრანგი მხატვრის, ანტუან ვატოს სურათზე გამოსახული მსახიობი („მეცეტენი“ იტალიური კომედიის პერსონაჟს ჰქვია) სწორედ მუსიკალური ნაწარმოების შესრულების მომენტშია გამოსახული.

შარლ ანტუან ლოიე. „ნატურმორტი“

მაგრამ აღსანიშნავია, რომ მხატვრები ხშირად დიდი ინტერესით გამოსახავდნენ უბრალოდ მუსიკალურ საკრავებსაც. მაგ. XVII ს.-დან ნატურმორტებზე ხშირადაა დახატული ჩვენთვის უკვე უცნობი ძველებური საკრავები, რომლებიც დღევანდელი სასულე თუ სიმებიანი საკრავების „წინაპრები“ არიან.

ჟორჟ ბრაკი. „ვიოლინო

მუსიკალურ ინსტრუმენტებს ხშირად გამოსახავდნენ XXს-ის მხატვრებიც. განსაკუთრებით ხშირად ვხედავთ მათ ჟორჟ ბრაკის, პაბლო პიკასოს, ხუან გრისის სურათებზე. ამ მხატვრებს „კუბისტებს“ უწოდებდნენ, იმიტომ, რომ მათ ნამუშევრებზე ყველა საგანი თითქოს გეომეტრიული სხეულებისგან — კუბების, ცილინდრების, სფეროებისაგან შედგება. მუსიკალური საკრავები აქ განგებაა ნაწილებად დაშლილი და გაფანტული. შეხედე ამ სურათს: შეძლებ მასზე ვიოლინოს ნაწილების პოვნას?

შენ უკვე გინახავს პაბლო პიკასოს მიერ გამოსახული მუსიკალური საკრავები: ვიოლინო, გიტარა, კლარნეტი და სხვ. დაათვალიერე მოცემული ნამუშევრები და შენც სცადე, შეასრულო კოლაჟი მუსიკალური ინსტრუმენტებით.

1. აიღე სხვადასხვა სახის ქაღალდი, მუყაო, გაზეთები და ჟურნალები. შეგიძლია გამოიყენო აგრეთვე ქსოვილის, ხის და ლითონის ფრაგმენტები.
2. გამოჭერი და ბრტყელ ზედაპირზე დააწებე სხვადასხვა გეომეტრიული ფორმები. შეეცადე, რაც შეიძლება ლამაზად და თანაბრად განალაგო ისინი.
3. შემდეგ დახატე მუსიკალური საკრავები, დაჭერი და დააწებე ფონზე.
4. მიახატე ან მიაწებე რაიმე მუსიკალური დეტალები: ნოტები, ვიოლინოს გასაღებები და სხვ.
5. მზა ნამუშევრები გამოფინეთ კლასში და ისაუბრეთ მათ შესახებ.

პაბლო პიკასო. კოლაჟები



მოსწავლეთა ნამუშევრები



8. მსახიობი მხატვრის თვალით

შეგინიშნავს, რომ ხელოვანისთვის შთაგონების წყაროდ ხშირად სხვა დარგის ხელოვნება იქცევა ხოლმე? მაგალითად, მუსიკოსი წერს სიმღერას რაიმე ლექსზე, რეჟისორი იღებს ფილმს რომანის მიხედვით, მწერალს ფერწერული ტილო მოთხრობას შთააგონებს, ქორეოგრაფი დგამს ბალეტს მუსიკალური ნაწარმოებების საფუძველზე და ა.შ. ხშირად ხდება ისეც, რომ მხატვარი გამოსახავს თეატრის, ესტრადის ან ცირკის მხახიობს.

ედგარ დეგა. კონცერტი „ამბასადორში“

პაბლო პიკასო. „სალტიმბანკესების ოჯახი“

უილიამ ჰოგართი. „დევიდ გარიკის პორტრეტი“

დააკვირდი ამ ნამუშევრებს. შენი აზრით, რომელი მათგანი გამოსახავს თეატრის მსახიობს, რომელი ესტრადის და რომელი — ცირკის? რატომ ფიქრობ ასე? რა დამახასიათებელ ნიშნებს ამჩნევ ამ სურათებზე? დაათვალიერე ისინი და მოიფიქრე მოკლე მოთხრობა რომელიმე მათგანზე.

ეს თემა სხვადასხვა ქვეყნებისა და ეპოქების მხატვრებს აინტერესებდა, მაგრამ ყველგან იგი თავისებურად, სხვებისაგან განსხვავებულად წყდებოდა. დაათვალიერე მოცემული ნაწარმოებები: ყველგან მსახიობებია გამოსახული, მაგრამ ზოგი ზეთის საღებავებითაა შესარულებული, ზოგი ანაბეჭდს წარმოადგენს, ზოგი კი მოხატულ ლარნაკს ამშვენებს. მათი შესრულების სტილიც განსხვავებულია: ზოგი სიბრტყობრივია, ზოგი — მოცულობრივი, ზოგან

მკვეთრი და ძალზე განსხვავებული, ანუ კონტრასტული ფერებია ნახმარი, ზოგან — ერთმანეთთან შეხამებული, ანუ ჰარმონიული.

1.

2.

3.

4.

დააკვირდით ამ სურათებს. ისაუბრეთ იმაზე, თუ რა არის მათზე გამოსახული. მიაქციეთ ყურადღება დეტალებს: ტანსაცმელს, ვარცხნილობას, ნივთებს. მოიფიქრე, ამ ნამუშევართაგან რომელი შეიძლება შექმნილიყო ძველ საბერძნეთში, რომელი — იაპონიაში, რომელი — XIX ს-ის საფრანგეთში და რომელი — XX ს-ის ამერიკაში? რატომ გგონია ასე? ეცადე, დაასაბუთო შენი აზრი. შემდეგ შეგიძლია ამოატრიალო წიგნი, წაიკითხო ინფორმაცია და შეამოწმო შენი ვარაუდი.

დაიმახსოვრე!
კონტრასტული — ძლიერ განსხვავებული, საპირისპირო
ჰარმონიული — შესაფერისი

ინფორმაცია
1. ოგიჰ�g ტენჯირი, ხელოვნებათა XIX ს-ის ბოლო. „ბიბლიოთეკა ყველა ხალხის ლეგენდა“.
2. ჰოკუსაი, იაპონელი, XIX ს. „ყვავილების ფიბოთეკის ბიბლიოთეკა“.
3. ენდი უორჰოლი, ამერიკელი, XX ს. „ფერადი ფოტოები“
4. ანტიკური ფრესკა ბერძენი ფილოსოფოსებით.

9. თეატრალური შენობები

ხელოვნების სხვადასხვა დარგები მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან: როდესაც იცვლება არქიტექტურა, იცვლება კედლის მხატვრობაც, ავეჯიც და საერთოდ, ადამიანისთვის საჭირო ნივთების დიზაინიც. მაგრამ არის ხელოვნების დარგები, რომლებიც იმდენად მჭიდროდაა დაკავშირებული, რომ მათი ერთმანეთის გარეშე არსებობა საერთოდ შეუძლებელია. აი, მაგ. თეატრი: წარმოდგენის ჩასატარებლად საჭიროა სპეციალური შენობა, პიესა, მსახიობები, რეჟისორი, დეკორაციები და კოსტიუმები, მუსიკა, განათება, გრიმი და სხვ. ე. ი. აქ შერწყმულია არქიტექტურა, ფერწერა, დრამატურგია, დიზაინი, მუსიკა და ა.შ.

? გაიხსენე, თეატრის გარდა, კიდევ სად გვხვდება ხელოვნების სხვადასხვა დარგების, მაგ. არქიტექტურის, ფერწერის, ქანდაკების, მუსიკის, ქორეოგრაფიის (ე.ი. ცეკვის ხელოვნების) ერთიანობა? შეეცადე, რაც შეიძლება მეტი მაგალითი მოიყვანო.

მოდი ვნახოთ, თუ იცვლებოდა დროთა განმავლობაში თეატრი. დავიწყოთ ძველი საბერძნეთით, რომელიც თეატრის სამშობლოდ ითვლება. სწორედ აქ დიონისესადმი (გაიხსენე, რის ღმერთად მიაჩნდათ ელინებს დიონისე) მიძღვნილი საზეიმო ცეკვა-სიმღერები ნამდვილ თეატრალურ წარმოდგენებად იქცა.



ბერძნული თეატრი. რეკონსტრუქცია.

ელადაში უამრავი თეატრი იყო, რადგანაც ბერძნები მას მაღალზნეობრივი ადამიანის აღზრდის მთავარ საშუალებად თვლიდნენ. ამიტომ, თუ ვინმეს სიღარიბის გამო თეატრში სიარული არ შეეძლო, სახელმწიფო მათ „თეატრის ფულს“ აძლევდა.

თეატრი ეპიდავრში

მაგრამ ბერძნული თეატრი ძალზე განსხვავდებოდა იმისაგან, რაც შენ დღეს შეგიძლია ნახო. პირდაპირ ღია ცის ქვეშ, ფერდობის კალთებზე განლაგებული იყო ნახევარწრიული თეატრონი მაყურებლებისათვის განკუთვნილი ქვის სკამებით. ქვემოთ იყო მრგვალი მოედანი, ანუ ორქესტრა,

სადაც ცეკვავდნენ და მღეროდნენ ქოროს წევრები. აქვე იყვნენ მსახიობები (მაქსიმუმ სამი კაცი). უკან იდგა სკენე — შენობა, სადაც ემზადებოდნენ მსახიობები და ინახებოდა კოსტიუმები, ბუტაფორია და სხვ., მისი კედელი კი დეკორაციის ნაცვლად გამოიყენებოდა. სკენეს წინ ხანდახან იყო კიდევ ერთი, ოღონდ მართკუთხა მოედანი — პროსცენიუმი.

როგორ გგონია, რომელი თანამედროვე სიტყვები წარმოიშვა ბერძნული სიტყვებისაგან „თეატრონი“, „ორქესტრა“ და „სკენე“? ემთხვევა თუ არა ამ სიტყვების თავდაპირველი მნიშვნელობა დღევანდელს?

თეატრი „გლობუსი“

შუა საუკუნეებში თეატრალური შენობები საერთოდ არ შენდებოდა — წარმოდგენებს მოხეტიალე დასები ღია ცის ქვეშ ან შემთხვევით ადგილებში მართავდნენ. ერთ-ერთი პირველი ნამდვილი თეატრი იყო დიდი ინგლისელი მწერლის, უილიამ შექსპირის თეატრი ლონდონში, რომელსაც მრგვალი ფორმის გამო „გლობუსი“ შეარქვეს. XVIს-ში აგებული ეს ხის შენობა მალე დაიწვა (წარმოდგენის დროს მომხდარი „გასროლის“ დროს თივის სახურავს ცეცხლი გაუჩნდა), მაგრამ დღეს იგი პირვანდელი სახითაა აღდგენილი.



შეხედე „გლობუსის“ გამოსახულებებს. როგორია შენობის აგებულება? სადაა განლაგებული მაყურებელთა ადგილები? როგორ არის განლაგებული სცენა? სად იყო, შენი აზრით, დამხმარე სათავსოები? თეატრის რომელი ნაწილებია გადახურული და რომელი — არა? არის თუ არა ფარდა? რა მსგსვსება-განსხვავებებს ხედავ „გლობუსსა“ და ძველბერძნულ თეატრს შორის?

ამავე XVIს-ში, იტალიაში, არქიტექტორმა ანდრეა პალადიომ ააგო თეატრი „ოლიმპიკო“, რომელიც უკვე მთლიანად იყო გადახურული. სცენის უკან მან მოათავსა არქიტექტურული დეკორაციები, რომლებზეც თაღებში შორეული ქუჩები იყო დახატული. მსახიობი იქ, ცხადია, ვერ შევიდოდა, სამაგიეროდ შეძლებოდა ზედ მუყაოსაგან გამოჭრილი შესაბამისი ზომის ფიგურების დამაგრება, რაც უსასრულოდ შორს გაშლილი სივრცის ილუზიას ქმნიდა.

„კომედი ფრანსეზი“

თეატრალური შენობა თანამედროვე სახით XVIIIს-ში ჩამოყალიბდა: სცენა ფარდით, კულისებით (დამხმარე სათავსოები სცენის უკან და გვერდებზე) და მაყურებელთა დარბაზით, სადაც ქვემოთ განლაგებულია პარტერი, ზემოთ კი გალერეები. ასეთია, მაგ. პარიზული თეატრი „კომედი ფრანსეზ“.

XXს-ის არქიტექტორებმა თეატრალური შენობის მრავალი სხვადასხვაგვარი სახე მოიგონეს, რომლებიც ორიგინალური გადაწყვეტითა და უჩვეულო ფორმებით გამოირჩევა.

ეს ჩვენი დროის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ნაგებობაა — ქალაქ სიდნეის ოპერა, რომელიც დანიელ არქიტექტორს, იორნ უტცონს ეკუთვნის. დააკვირდი ზღვაში შეჭრილი ამ შენობის ფორმებს. რას გაგონებს ისინი?

როგორ თეატრს ააშენებდი,შენ რომ არქიტექტორი იყო? სცადე, დახატო მისი ესკიზი.

დაიმახსოვრე!

თეატრონი — მაყურებელთა ნახევარწრიულად განლაგებული ადგილები ბერძნულ თეატრში
ორქესტრა — მოედანი ქოროსა და მსახიობთათვის.
სკენე — შენობა დამხმარე სათავსოებით.
პროსცენიუმი — მოედანი სკენეს წინ.
იორნ უტცონი — XXს. დანიელი არქიტექტორი.

შენი აზრით

შესაძლებელი იყო თუ არა, რომ სხვა ჰავისა და რელიეფის მქონე ქვეყანაში ისეთივე ტიპის თეატრალური შენობა შექმნილიყო, როგორც ძველ საბერძნეთში? რატომ გგონია ასე?

10. გააკეთე თეატრალური დეკორაცია



სოლომონ ვირსალაძე. დეკორაცია ჯ.ვერდის ოპერისათვის „სიცილიური მწუხრი“

ნიკოლოზ ყაზბეგი. დეკორაციის ჩანახატი

წინა გაკვეთილზე შენ ნახე, რომ მრავალი მხატვარი ასრულებდა სურათებს მსახიობთა გამოსახულებებით. მაგრამ მხატვრობისა და თეატრის კავშირი ამითი არ ამოიწურება. ალბათ, ყოფილხარ თეატრში და მიგიქცევია ყურადღება, რომ სპექტაკლები დეკორაციების ფონზე მიმდინარეობს, მსახიობებს კი სპეციალური კოსტიუმები აცვიათ, უკეთიათ პარიკები და გრიმი. ყოველივე ამას იგონებს თეატრის მხატვარი. იგი ასრულებს ჩანახატებს, რომლების მიხედვითაც შემდეგ უნდა მოეწყოს სცენა და გამოეწყოს მსახიობი. მისი სამუშაო ძალიან მნიშვნელოვანია: აბა დაფიქრდი, როგორი შთაბეჭდილება შეექმნება მაყურებელს, მოქმედება ყოველთვის ცარიელ სცენაზე რომ მიმდინარეობდეს და მსახიობებს ყოველდღიური ტანისამოსი რომ ეცვათ?

თქვენც შეგიძლიათ, შექმნათ დეკორაციები სპექტაკლისათვის. კარგი იქნება, თუ კლასში თოჯინების თეატრს მოაწყობთ და სცენას და „მსახიობებს“, ანუ თოჯინებს, თავადვე გააკეთებთ.

1. მოითათბირეთ კლასში იმის შესახებ, თუ რა პიესის დადგმა გინდათ. ეს შეიძლება იყოს ზღაპარი, მოთხრობა, ნაწყვეტი რაიმე ნაწარმოებიდან ან თუნდაც ლექსი.
2. იმსჯელეთ იმაზე, თუ რამდენი დეკორაცია დაგჭირდებათ, სად დაიდგმება თქვენი „თეატრი“, სად ისხდებიან მაყურებლები, რა მანძილიდან და რა სიმაღლიდან დაინახავენ ისინი წარმოდგენას.

3. გაინაწილეთ და დაგეგმეთ სამუშაო, მოამზადეთ მასალები და იარაღები.

4. სქელი ქაღალდის ნაჭრებზე დახატეთ ფანქრით დეკორაცია. ხატვისას გახსოვდეთ: იმისთვის, რომ დეკორაციის დაყენება გახდეს შესაძლებელი, იგი შემდეგში უნდა მოიკეცოს ისე, როგორც ეს ილუსტრაციებზეა ნაჩვენები. ნახატში ეს თავიდანვე უნდა გაითვალისწინოთ.

5. გააფერადეთ ნახატი თქვენთვის სასურველი მასალით.

6. ფრთხილად ამოჭერით ნახატი.

7. მოკეცეთ ნახატი ვერტიკალური ხაზების მიხედვით.

8. თუ პიესა გრძელია, გააკეთეთ რამდენიმე დეკორაცია.

9. ქაღალდისგანვე შეგიძლიათ გამოჭრათ პიესის პერსონაჟები.

11. ნიღბები

შენ უკვე იცი ზოგი რამ ნიღბების შესახებ. გაიხსენე, რა შემთხვევაში იხმარება ნიღბები: ა) ყოველდღიურ ცხოვრებაში? ბ) პროფესიულ საქმიანობაში? გ) გართობისათვის? დ) ხელოვნებაში?

ბერძნული ნიღაბი

იაპონური ნიღაბი

აფრიკული ნიღაბი

საკარნავალო ნიღაბი

მრავალ ქვეყანაში, მაგ. ძველ საბერძნეთში, იაპონიაში, ნიღბები თეატრალური წარმოდგენების აუცილებელი ატრიბუტი იყო. ბერძნულ თეატრებში, რომლებიც ძალზე დიდი იყო და უამრავ მაყურებელს იტევდა (საშუალოდ 15 ათასს) მსახიობის სახე კარგად არ ჩანდა. ამიტომ მათ დიდი, მსხვილნაკვთიანი ნიღბების და მაღალძირიანი ფეხსაცმლის — კოტურნების ტარება უხდებოდათ. თანაც მსახიობები ცოტანი იყვნენ, ყოველ მათგანს რამდენიმე როლის შესრულება უწევდა (მათ შორის ქალთა როლებისაც, რადგანაც მსახიობები მხოლოდ მამაკაცები იყვნენ) და ის, რომ ყოველ პერსონაჟს თავისი ნიღაბი ჰქონდა, ძალიან მოხერხებული იყო. გარდა ამისა, ნიღბების პირი ისე იყო გაკეთებული, რომ იგი ხმას აძლიერებდა, ასე რომ იგი თანამედროვე მიკროფონის შორეულ წინაპრად შეგვიძლია ჩავთვალოთ. ბერძენი ოსტატები ნიღბებს სხვადასხვა მასალისაგან: ქსოვილის, ტყავის, ტერაკოტის ან ხისაგან ამზადებდნენ, შემდეგ კი მჟღერი საღებავებით აფერადებდნენ. ეს საკმაოდ რთული ტექნიკებია, მაგრამ შენ შეგიძლია გაცილებით ადვილად შექმნა საკუთარი ნიღაბი ქაღალდისაგან ან შესაფერისი ქსოვილისაგან. (უფრო ადვილია ისეთი ნიღბის გაკეთება, რომელიც ნახევარ სახეს ფარავს.) დასრულებული ნამუშევრები შეგიძლიათ გამოიყენოთ საკლასო დადგმის ან კარნავალის ჩასატარებლად.



დავალება

1.დაათვალიერე მოცემული ნიმუშები და მოიფიქრე საკუთარი ვარიანტი.
2. აიღე შენი სახის ზომები, მაგ., საფეთქლებს შორის, შუბლიდან ცხვირამდე, შუბლიდან ნიკაპამდე, საფეთქლიდან თვალამდე და თვალებს შორის.
3. ამ ზომების გამოყენებით მაგარ ქაღალდზე ან ქსოვილზე დახატე უბრალო ფანქრით ნიღბის ძირითადი ფორმა. აბსოლუტური სიზუსტე აუცილებელი არ არის — მთავარია, ნიღაბი დაახლოებით ემთხვეოდეს შენს სახეს.
4. თუ ნიღაბს გარშემო რაიმე დამატებითი დეტალები უნდა ჰქონდეს (სხივები, ფრთები და სხვ.) წინასწარ აღნიშნე მათი მოხაზულობა ძირითადი ფორმის გარშემო.
5. მოხატე ნიღაბი შენი სურვილისამებრ.
6. ფრთხილად გამოჭერი ნიღაბი.
7. შეგიძლია დაამატო რაიმე დეტალები — ბუმბულები, მძივები, ფერადი ძაფები, პატარა ნიჟარები, ფოჩები და სხვ.
8. გაუკეთე კიდეებში პატარა ნახვრეტები და გაუყარე რეზინის ზონარი ან ლენტები.



დაიმახსოვრე!
ატრიბუტი — რისამე დამახასიათებელი აუცილებელი ნიშანი.
კოტურნები — ბერძენი მსახიობის მაღალძირიანი ფეხსაცმელი.

12. შემაჯამებელი გაკვეთილი

შენ გაეცანი შემდეგ საკითხებს:

1. სახვითი ხელოვნების წარმოქმნის საკითხებს;
2. ხელოვნების დარგების — კერამიკის, გრაფიკის, საცხოვრებელი და თეატრალური არქიტექტურის ისტორიასა და მათ თავისებურებებს;
3. გაეცანი მუსიკასა და თეატრთან დაკავშირებულ თემატიკას სახვით ხელოვნებაში;
4. გაეცანი ავტოპორტრეტის ჟანრს;
5. შეიტყვე ფერისა და სინათლის ტონების შესახებ და გაიგე, რას ნიშნავს „ტონალური გრადაცია“;
5. გააღრმავე პრაქტიკული უნარ-ჩვევები ხატვის, ძერწვის, ქაღალდის პლასტიკის და კოლაჟის დარგში.

შეამოწმე შენი ცოდნა

შენი აზრით, აქ წარმოდგენილი ნიმუშებიდან რომელი ეკუთვნის ბერძნულ კერამიკას და რომელი — ჩინურს? რატომ გგონია ასე?

უპასუხე შეკითხვებს:

1. რას გამოსახავს ავტოპორტრეტი?
2. რა არის „ტონი“? როგორი ტონები არსებობს?
3. რა არის „ტონალური გრადაცია“?
4. რას ნიშნავს „საცხოვრებელი არქიტექტურა“?
5. რა არის თეატრონი?
6. სად და რისთვის გამოიყენება ნიღბები?

რა იცი ამ შენობის შესახებ? დას მდებარეობს იგი? რა დანიშნულება აქვს? ვინაა მისი ავტორი?



ამ სურათებზე წარმოდგენილია სხვადასხვა ქვეყნის ტრადიციული საცხოვრებელი ტიპები. შენი აზრით, რომელი მათგანი იყო გავრცელებული ჩრდილოეთის ქვეყნებში და რომელი — სამხრეთში? რატომ გგონია ასე?

13. ფერი და ტონი

ფერის ტონი განსაზღვრავს, თუ რამდენად მუქი, ან ღიაა იგი.შენ შეგიძლია შექმნა უჩვეულო ნახატები ერთი ფერის ტონების გამოყენებით, ან ნახატში ტონების შეცვლით

ეს წრე გვიჩვენებს სხვადასხვა ფერთა ტონებს.

ექსპერიმენტი ტონებით

შეეცადე მიიღო ერთი ფერის რაც შეიძლება მეტი სხვადასხვა ტონი. დაიწყე ყველაზე ღია ტონით და თანდათან გაამუქე. ამის გაკეთება ყველაზე ადვილია აკრილის ან საპლაკატო საღებავებით. ასეთნაირად მიიღებ ტონების გადასვლას, ანუ გრადაციას.



ყველა ეს ტონი მიღებულია თეთრი საღებავითვის სხვა ფერების დამატებით

დაიწყე თეთრით. დაუმატე მცირეოდენი სხვა ფერის საღებავი.

უფრო მუქი ტონის მისაღებად,თანდათან მეტი საღებავი დაამატე

შესაბამისი ტონები

მაშინაც კი, როდესაც ფერები ერთმანეთისაგან განსხვავდება, მათ შეიძ-ლება ჰქონდეთ მსგავსი ტონები. უფრო ადვილია დავინახოთ ფერებს შორის მსგავსება შავ-თეთრ სურათზე. შეადარე ტონები ფერად და შავ-თეთრ ფოტოებზე, მაგალითად, ლურჯ ლარნაკსა და წითელ ფონს გააჩნიათ მსგავსი ტონი.

ყვავილებს აქვთ ყველაზე ღია ტონი, ლარნაკს კი — ყველაზე მუქი ტონი.

ამ შავ-თეთრ ფოტოზე კარგად ჩანს, თუ რომელ ფერებს აქვთ მსგავსი ტონები.

ღია და მუქი ტონები

სურათში მოცემულ ტონებს შეუძლიათ მისი განწყობა შეცვალონ. ღია ტონები ქმნის რბილ, ნაზ ეფექტს, ხოლო მუქი, ინტენსიური ტონები უფრო მკვეთრ, ძლიერ შეგრძნებას იწვევენ.

ეს ერთი და იგივე ნახატია, მაგრამ ერთი ვარიანტი ინტენსიური, უფრო მუქი ტონებით არის შესრულებული, მეორე კი - უფრო ღია, ბაცი ტონებით. შეადარე ისინი ერთმანეთს.



საპირისპირო ტონები

საინტერესო ეფექტის მიღება შეიძლება, თუ მუქ ტონებს ღიათი შევცვლით და პირიქით. ამ სურათებზე მუქი ტონები, მაგალითად წითელი, ღიათი შევცვალეთ და ვარდისფერი მივიღეთ, ხოლო ღია ცისფერი — მუქი ლურჯით და ა.შ. შენც შეგიძლია დახატო მსგავსი სურათი, შემდეგ კი მეორე, რომელზედაც ტონებს საპირისპირო ტონებით შეცვლი.